ტვინების ბრძოლა
რეგიონული პირველობა | შემოდგომა 2024
U8 (VI, VII, VIII კლასები)

1. 5-ქულიანი შეკითხვა
ერთ ვიდეოში ამ ადამიანს **ადარებენ ბეტმენს**, რაც **სიმბოლურია**, რადგან მისი **კლუბის ლოგოზე ღამურაა** გამოსახული. 2024 წლის **ევროპის ჩემპიონატზე** მან **ყველაზე მეტი ბურთი მოიგერია**. დაასახელეთ **ეს ადამიანი**.

პასუხი: გიორგი მამარდაშვილი
ჩათვლა: მამარდაშვილი
კომენტარი: ქართველი მეკარე გიორგი მამარდაშვილი ამჟამად ვალენსიაში თამაშობს, რომლის ლოგოზეც ღამურაა გამოსახული. 2024 წლის ევროპის ჩემპიონატზე მას 30-მდე სეივი დაუგროვდა.
წყარო: ბმული

2. 6-ქულიანი შეკითხვა
ჩრდილოეთ კორეის ლიდერების შესახებ არაერთი **გამოგონილი ამბავი** არსებობს. მაგალითად, ერთ-ერთ ლიდერს მიეწერება **უგემრიელესი საჭმლის შექმნა**, რომელიც **პურის ორი ნაჭრისა** და **ხორცისგან** შედგება. **სინამდვილეში** ეს საჭმელი არის **იქსი**. იქსის სახელი **გერმანული ქალაქიდან** მოდის. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ჰამბურგერი
კომენტარი: პურის ორ ნაჭერს შორის მოთავსებული ხორცი, რა თქმა უნდა, ჰამბურგერია. ჰამბურგერი გერმანიის ქალაქ ჰამბურგში შექმნეს და სახელიც ამიტომ ეწოდა.
წყარო: ბმული

3. 7-ქულიანი შეკითხვა
[დასარიგებელი მასალა

]
დარიგებულ მასალაზე ხედავთ **2006 წელს** გამოსული **ისტორიული ფილმის** პოსტერს, რომელიც **ცნობილ ბრძოლას** ეხება. დაასახელეთ ეს ფილმი.

პასუხი: 300
ჩათვლა: 300 სპარტელი
კომენტარი: დარიგებულ მასალაზე ჩანს ვიწრო გასასვლელში განლაგებული რამდენიმე ასეული ადამიანი, რომელიც გაცილებით დიდ არმიას უნდა დაუპირისპირდეს. ფილმი "300" გადაღებულია თერმოპილეს ბრძოლის შესახებ, სადაც ერთმანეთს სპარტელები და სპარსები დაუპირისპირდნენ. პოსტერის ქვედა ნაწილში მდგარი სპარტელები ზედხედიდან ქმნიან რიცხვ 300-ის გამოსახულებას.
წყარო: ბმული

4. 5-ქულიანი შეკითხვა
გასაკვირი არაა, რომ "**კუნგ ფუ პანდამ**" **ამ ქვეყანაში** დიდი **პოპულარობა** მოიპოვა, რადგან **ცხოველიც** და **საბრძოლო ხელოვნებაც** ამ ქვეყნის **იდენტობის ნაწილია**. დაასახელეთ ეს ქვეყანა.

პასუხი: ჩინეთი
კომენტარი: კუნგ ფუ ჩინური საბრძოლო ხელოვნებაა, ხოლო პანდა - ჩინეთის ეროვნული ცხოველი. ანიმაცია "კუნგ ფუ პანდა" ყველაზე წარმატებულ ანიმაციად მიიჩნევა ჩინეთის ისტორიაში.
წყარო: ბმული

5. 6-ქულიანი შეკითხვა
1850 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალაში შევიდა **კანონი**, რომელმაც კიდევ უფრო **გაურთულა ცხოვრება მონებს**. სწორედ ეს კანონი გახდა **შთაგონების წყარო იქსის დასაწერად**. მე-19 საუკუნეში იქსი **ყველაზე გაყიდვადი** წიგნი იყო **ბიბლიის** შემდეგ. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ბიძია თომას ქოხი
კომენტარი: ჰარიეტ ბიჩერ სტოუს მიერ მონობაზე დაწერილი წიგნი ამ კანონის ძალაში შესვლიდან მალევე, 1852 წელს გამოიცა. იგი ისეთი პოპულარობით სარგებლობდა, რომ მხოლოდ ბიბლიას ჩამორჩა გაყიდვებით. სწორი პასუხია ბიძია თომას ქოხი.
წყარო: ბმული

6. 7-ქულიანი შეკითხვა
პერიოდული სისტემის შესახებ წიგნში, ის თავი, რომელიც **ოქროს** ეძღვნება, დასათაურებულია, როგორც **იქსი**. **ანიმაციურ ფილმში** "**გზა იქსისკენ**" ვხვდებით **ორ თაღლითს**, რომლებიც **საოცარ ქალაქში** აღმოჩნდებიან. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: ელ დორადო
კომენტარი: ეს მითიური ადგილი ცნობილი იყო, როგორც ოქროს ქალაქი. "დრიმვორქსის" ცნობილ ანიმაციაში "გზა ელ დორადოსკენ", მთავარი გმირები თაღლითები არიან, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდებიან ელ დორადოში და თავს ღმერთებად გაასაღებენ.
წყარო: Hugh Aldersey-Williams "Periodic Tales"

7. 5-ქულიანი შეკითხვა
ფენტეზის ჟანრის ნაწარმოებში "**ბეჭდების მბრძანებელი**", **იქსებს** იმიტომ **ეზიზღებათ ელფები**, რომ ელფები მათ **ზემოდან უყურებენ**. **უოლტ დისნეის** ერთხელ დამატებით **7 ოსკარი** გადასცეს **იქსების გამო.** დაწერეთ იქსით **შეცვლილი სიტყვა**.

პასუხი: ჯუჯა
კომენტარი: ელფები ჯუჯებს პირდაპირი და გადატანით მნიშვნელობით ზემოდან უყურებენ. უოლტ დისნეიმ მოიგო ოსკარი ანიმაციისთვის "ფიფქია და 7 ჯუჯა", და ჩვეულებრივი ზომის ოსკარის ფიგურასთან ერთად 7 პატარა ფიგურაც გადაეცა ჯუჯების გამო.
წყარო: ბმული

8. 6 ქულიანი შეკითხვა
[კაპიტნების რაუნდი. თითოეულ მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოთამაშე, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს კაპიტანი.]

სამხრეთ კორეაში ჩვეულებრივი მოქალაქეებიც ხშირად თამაშობენ ე.წ. "**დეტექტივობანას**". ერთ-ერთი ასეთი **მოქალაქე-დეტექტივის** თქმით, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, იყოს **იქსი**. იქსის **თავგადასავლების** შესახებ ჩვენ **მისი მეგობარი ექიმისგან** შევიტყვეთ. დაასახელეთ იქსით შეცვლილი **ცნობილი პერსონაჟი**.

პასუხი: შერლოკ ჰოლმსი
კომენტარი: სამხრეთ კორეაში "ნამდვილი დანაშაულის" ჟანრი იმდენად პოპულარულია, რომ თავად მოქალაქეები აწყობენ თამაშებს, სადაც ფსევდო-დეტექტივები იძიებენ მოგონილ დანაშაულებს. ერთი ასეთი დეტექტივი თავს შერლოკ ჰოლმსსაც ადარებს. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავლებს, თავად წიგნში, ჰოლმსის მეგობარი, ექიმი უოტსონი აქვეყნებს.
წყარო: ბმული

9. 7-ქულიანი შეკითხვა
როჯერ ფედერერს ძალიან **ხანგრძლივი** და **წარმატებული** სპორტული **კარიერა** ჰქონდა. **2015 წელს**, ჩოგბურთის ფანი ხესუს აპარიჩიო, **გაოგნებული** შეხვდა იმ ფაქტს, რომ ფედერერი **მსოფლიოს მეორე საუკეთესო ჩოგბურთელი** იყო. საქმე ისაა, რომ აპარიჩიო **2004 წლიდან**, **11 წლის განმავლობაში იმყოფებოდა…. დაასრულეთ წინადადება ერთი სიტყვით**.

პასუხი: კომაში
კომენტარი: 2004 წელს ახალგაზრდა როჯერ ფედერერი საოცარ ფორმაში იყო და მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელად მიიჩნეოდა. ფედერერის დიდი გულშემატკივარი, ხესუს აპარიჩიო 2004 წელს კომაში ჩავარდა. 11 წლის შემდეგ, როდესაც ხესუსი კომიდან გამოვიდა, იგი გაოგნებული დარჩა იმით, რომ ფედერერი ჯერაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო თავის სპორტში.
წყარო: ბმული

10. 5-ქულიანი შეკითხვა
ცნობილ **ბიზნესმენ** მილტონ ჰერშის **დაჯავშნილი** ჰქონდა **ბილეთი იქსზე**, თუმცა სასწრაფო საქმე გამოუჩნდა, რის გამოც **ამერიკაში რამდენიმე დღით ადრე**, **1912 წლის 7 აპრილს** დაბრუნდა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰერში ბიზნესის გარდა, **ცხოვრებაშიც იღბლიანი ადამიანი იყო**. დაწერეთ იქსით **შეცვლილი სიტყვა**.

პასუხი: ტიტანიკი

კომენტარი: ჰერშის იმაზე ადრე მოუწია ევროპიდან ამერიკაში დაბრუნება, ვიდრე დაგეგმილი ჰქონდა. ამ იღბლიანი შემთხვევითობის წყალობით, მან ვერ ისარგებლა 1912 წლის 10 აპრილისთვის დაჯავშნილი ბილეთით ტიტანიკზე.
წყარო: ბმული

11. 6-ქულიანი შეკითხვა
წიგნში "**ბიძია თომას ქოხი**" ბატონი საუბრობს თომას **პატიოსნებაზე** და აღნიშნავს, რომ **თომას შეეძლო იქსში გაქცევა**, თუმცა ეს არ გააკეთა. **მსოფლიოს ქვეყნებს** შორის, იქსი **ყველაზე მეტ ნეკერჩხლის სიროფს** აწარმოებს. დაასახელეთ იქსი.

პასუხი: კანადა
კომენტარი: მონები ხშირად გარბოდნენ აშშ-ის ჩრდილოეთით, კანადაში. კანადასთან ნეკერჩხალი მჭიდროდაა დაკავშირებული და ის ქვეყნის დროშაზეც კი არის გამოსახული. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ ყველაზე მეტ ნეკერჩხლის სიროფს კანადაში აწარმოებენ.
წყარო: ჰარიეტ ბიჩერ სტოუ "ბიძია თომას ქოხი"
ბმული

12. 7-ქულიანი შეკითხვა
იქსის სამყაროში ვხვდებით **ბოროტ პერსონაჟს**, სახელად "**ოგელ**", რომელიც **სიკეთისა** და **გართობის წინააღმდეგ** იბრძვის. **იქსის ფილმში** ვხვდებით, მაგალითად, **ბეტმენის** და **სუპერმენის ფიგურებსაც**. დაასახელეთ იქსი **ოთხასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ლეგო
კომენტარი: თუ "ლეგო"-ს უკუღმა წავიკითხავთ, მივიღებთ სიტყვას "ოგელ". შესაბამისად, ბოროტმოქმედი, სახელად "ოგელ" ლეგოს საპირისპირო იდეებს განასახიერებს. ლეგოს ფილმებში სუპერგმირების ლეგოს ფიგურებსაც ვხვდებით.
წყარო: https://minifigure.fandom.com/wiki/Ogel

13. 5-ქულიანი შეკითხვა
სამურაებისგან განსხვავებით, **იქსები** არ იყვნენ **ელიტური ოჯახებიდან** და არ გააჩნდათ **მკაცრი კოდექსი**, რის გამოც უფრო **თავისუფლად** შეეძლოთ **მოქმედება**. იქსებს ვხვდებით ანიმეში "**ნარუტო**". დაასახელეთ იქსით **შეცვლილი სიტყვა**.

პასუხი: ნინძა
კომენტარი: სამურაები ელიტური ოჯახებიდან მოდიოდნენ და მიჰყვებოდნენ მკაცრ მორალურ კოდექსს, სახელად "ბუშიდოს". ნინძები, მათგან განსხვავებით, ჩვეულებრივი გლეხებიც იყვნენ და მეტი თავისუფლება ჰქონდათ. ანიმე "ნარუტო" მთლიანად ნინძებზე და მათი ცხოვრების წესზეა აგებული.
წყარო: ბმული

14. 6-ქულიანი შეკითხვა
იქსებს შეუძლიათ **ლაპარაკი** და **თავსატეხების ამოხსნა**, ამიტომ მეცნიერები მათზე დაკვირვებით ცდილობენ გაიგონ, **როგორ განვითარდა ადამიანის გონება**. **დომინიკის დროშაზე** გამოსახულია

ადგილობრივი იქსი, რის გამოც ეს არის **ერთადერთი** დროშა, რომელზეც ვხვდებით **იისფერს**. დაწერეთ იქსი.

პასუხი: თუთიყუში
კომენტარი: თუთიყუშები ცნობილი არიან ლაპარაკის უნარით. ასევე, ისინი ძალიან ფერადები არიან, დომინიკაში მობინადრე თუთიყუშს კი იისფერი ბუმბულიც აქვს.
წყარო: ბმული
ბმული

15. 7-ქულიანი შეკითხვა
ერთ ანიმაციურ ფილმში **საშიშად ჩაცმული** პერსონაჟი მეორე პერსონაჟს **ტკბილეულის ნაადრევად ჭამას უშლის**, რადგან **ბავშვებს ელოდება**. დაწერეთ ის **დღესასწაული**, რომლის დროსაც მიმდინარეობს ფილმის მოქმედება.

პასუხი: ჰელოუინი
კომენტარი: ამ დღეს სხვადასხვა გმირის ფორმებში ეწყობიან და ტკბილეულს არიგებენ. სწორი პასუხია ჰელოუინი.
წყარო: StarBeam: Halloween Hero